


პროლეტარკო ყველა ქვეყნისა, შერიტდით!



საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კანადალიკური საპროლეტარული ორგანიზაციის

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ


28 ივნისი, საშაბათი, 1988 წ. № 124 (9791) © შპსი 3 კაპ.

შემოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ბევრი რამ გაიკეთა.

ზოგის ბასარკვენი დატრენდა



ძიუდოსტა თბილისის საერთაშორისო ტურნირის კიდევ სამი გამარჯვებული: მარცხნიდან — ვია თენაძე, სერგეი კოსმინინი, ფიოდორ ლაზარენკო.

ოთხი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი — ასეთია საქართველოს ფალავანთა შედეგი ამ ტურნირში.

ჩვენთვის ყველაზე საჭირო იყო გამარჯვება 71 კგ წონით კატეგორიაში. ნურაინი იფიქრებს, საქართველოს სხვა ფალავანთა წარმატებებს ვაუფასურებდეთ — ვია თენაძის გამარჯვება განსაკუთრებით იმდენად გამოვარჩიეთ, რომ

იმედია, საბოლოოდ გაირკვა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრის ვინაობა 71 კგ წონით კატეგორიაში. „ვია თენაძემ დამაჯერებლად გაიმარჯვა და არა მგონია, მას ვინმემ გაუწიოს კონკურენცია“, — თქვა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გენადი კალეტკინმა. თენაძემ პირველ წრეში ქულეებით მოუგო ჩელიაბინსკელ დმიტრი

ხულიაკოს, შემდეგ კი წმინდად დამარცხა პოლონელი ვესლავ პილატი, იგივე ბედი ეწია მასთან საკილოდ გასულ სამხრეთ კორეელ ხუნ ჩუნგს. ქართველი სპორტსმენის მომდევნო ორთაბრძოლა სავანგებო კომენტარს იმსახურებს. სწორედ 71 კგ წონით კატეგორიაში გამოდის თბილისის ტურნირის ყველა-

ზე ძლიერი და ტიტულიანი სტუმარი, მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი მაიკლ სვეინი და სწორედ ის გახლდათ გორელი მოჭიდავის მეტოქე ნახევარფინალში. თენაძე ყურადღებით აკვირდებოდა მის ყოველ ორთაბრძოლას. „მოთავრია პარტერში არ ჩავყვე“. — უთხრა მან ჩვენს მწვრთნელს, როცა მათი შეხვედრის ჭერი დადგა. პარ-

ტერში ქილომეტრე მართლაც არ მისულა საქმე, ხანგრძლივი „დაზვერვის“ შემდეგ ქართველმა ფალავანმა ლამაზი ილეთით გაიმარჯვა — იბონი! მეორე ჯგუფიდან ფინალში გზა გაიკაფა ქვეყნის ნაკრების კიდევ

ის. 33-4 33

ვაკუტა II საკავშირო სპორტული თამაშები



სსრ კავშირის თანის გათამაშება წაღვი ხტომავი



თბილისში, ლენინური კომპლექსის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დამთავრდა წყალში მტრმელთა საკავშირო თანის გათამაშება.

კვირას, შეჯიბრების ბოლო დღეს, სარბიელზე გამოვიდნენ 5-მეტრიანი კომპლექსიდან მტრმელი ვაჟები. ჩინებულად იასპარეზა თბილისელმა გიორგი შელოუგოვმა („დინამო“), რომელმაც ზედინდელ მეორედ

მოიპოვა საკავშირო თანი — 501,81. მეორე იყო ალექსეი გლადჩენკო — 488,58, ნოლო მესამე — ანდრეი კვოჩინსკი (ორივე — მინსკი) — 487,62.

სურათზე: გ. შელოუგოვი და ასევე 5-მეტრიან კომპლექსიდან ხტომავში ქალთა შორის გამარჯვებული არმინე მელქუმანი (ერევანი).

ახილოვსკაია — ლიდერთა შორის

ლენინგრადში მიმდინარეობს მოქალაქე ქალთა ტრადიციული ტურნირი „თეთრი დამები“. 8 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს ლენინგრადელი დიდოსტატი ირინა

ლევიტინა. თბილისელ ელენა ახილოვსკაიას, პოლონელ ჰანა ერენსკა-რაძევსკას, ბერძენ მარინა მაკროპულუს და ლენინგრადელ ნინა სიტნიკოვას 5-5 ქულა აქვთ.

როგორ გაგახაროს, როგორ დაგეგმიტა გული?

20-27 ივნისი

მკითხველებს და სპორტის გულშემატკივრებს გასულმა კვირამ ბევრი სიხარული მოუტანა, თუმცა, სიხარულს წყენაც ახლდა. გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებები, სადაც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა.

აი, ის სასიხარულო მოვლენები, რომლებმაც მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია: 1. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში — აკაი კიბორძალიძე, ლერი ნაკანი, დავით ბაგაური, ვია თენაძე გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ; 2. ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი (იურმალი) — ვლადიმერ გაბრიჩიძე და დავით კაჭარავა უძლიერესები იყვნენ; 3. ჰაბუკ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირში გაიმარჯვეს ბექარ ძაგანაძე და დათო გოგოლაშვილი;

4. ჰაბუკა II საკავშირო სპორტული თამაშები — ნინო მისურაძემ ბრინჯაოს მედალი მოუტანა ჩვენს სპორტულ დედას. 5. სსრ კავშირის თანის გათამაშებაში წყალში ხტომავში თბილისელმა გიორგი შელოუგოვმა I ადგილი დაიკავა, დინამო მკედლიძე კი ორჯერ იყო მესამე. ფეხბურთის გულშემატკივრებმა ვერა და ვერ გაიხარეს. არ არის გასაკვირი, რომ გუნდის თითქმის მთელი დღე გვირგვინდნენ გულნატკენი და „დინამოს“ უნიათო თამაშით შეურაცხყოფილი ქომაგები. თუმცა, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად კვლავ რჩება, მკითხველთა უკმაყოფილონი არიან ქვეყნის ჩემპიონატში სტენდზე სროლაში თამაშ იმნაიშვილის გამოსვლით. გულშემატკივრების ერთი ჯგუფი მოითხოვს გამოკვეთილ მახლებში ფეხბურთში საქართველოს პირველობაში მონაწილე ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებზე.

დღევანდელი მიმოხილვა მომზადდა ვ. შენგელიას (ჩხოროწყუ), ნ. კერატიშვილის (საგარეჯო), ბ. მელაძის, ე. კაციანიძის, რ. გორგოშვილის (სამივე — თბილისი), ნ. ფერაძის (ქიათურა), მ. ჩარქულიანის (ქუთაისი), ვ. ფალავას (ფოთი) და სხვათა მოსაზრებების გათვალისწინებით.

მისერაძეს — ბრინჯაოს მედალი და შეროვის პირველობის საგზური

სინარგონული ცურვის ოსტატები ვოსკრესენსკში ასპარეზობდნენ. აქ საქართველოს წარმომადგენლებს, ფაქტობრივად, მხოლოდ მოსკოველებმა და უკრაინელებმა აჯობეს. მიუხედავად ამისა, ისინი... მეოთხე ადგილზე გავიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ შეჯიბრებაზე მოსკოველები ორი გუნდით დაუშვეს. ყველას მათმა პირველმა ნაკრებმა აჯობა. მეორე იყო მოსკოვის მეორე გუნდი, მესამე — უკრაინის ნაკრები.


ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა, ისე როგორც პირველ თამაშებზე, მეოთხე ადგილი დაიკავა.

ჩვენი სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო თბილისელი ნინო მაისურაძე, რომელმაც ერთეულთა შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შემდეგ მან თანაგუნდელ მანანა ჩარქულიანთან ერთად ძალა სცადა წყვილთა ასპარეზობაშიც, სადაც მეხუთე იყო.

ჯგუფურ შეჯიბრებაშიც საქართველოს ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა. ვოსკრესენსკში ფაქტობრივად გადაწყდა იგლის ბოლოს თუ ვინ გაემგზავრება პოლანდიაში, სადაც ოუნიორთა შორის ევროპის პირველობა გაიმართება. სასიხარულოა, რომ ნაკრებში შეიყვანეს ნინო მაისურაძეც, რომელიც კიეველ ოლგა ფილიპენკოსთან ერთად, ევროპის პირველობაზე, წყვილთა თანრიგში იასპარეზებს.

აპიტარიინებთა საპურადლეო!

შეგახსენებთ, რომ ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივები შეგიძლიათ ჩააბაროთ ნებისმიერ კომისიას. მიუხედავად იმისა, სად, რომელ უმაღლეს სასწავლებელში შეგაქვთ საბუთები. თბილისში კომისიები მუშაობენ აგრეთვე ფიზიკულტურის ინსტიტუტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის (კონსტიტუციის ქუჩა) სტადიონებზე.



სამართველსა და ქვეყნის ფიზიკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში იმთავითვე შეაქვთ თვალსაჩინო წვლილი საბჭოთა აფხაზეთის სპორტსმენებს. ტრადიციები გრძელდება. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ დღევანდელი სპორტული ცხოვრების ამსახველ ფრაგმენტებს. მძლეობანმა ტარიელ ბიწაძემ ამას წინათ კიშინიოვში გამართულ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის შტატში შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. მარცხენა სურათზე ტ. ბიწაძე (მარჯვნივ) და მისი მწვრთნელი თამაშ კედლია ალბეკილი. სოხუმელ მოკრივეთა წარმატებებიც უველასთვის კარგადაა ცნობილი. წარსულში სახელოვანი მოკრივე იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი თემურ ნაშუშია. იგი ახლა ნორჩ მოკრივეებს ზრდის.

ქემალ კახიძის ფოტოები.

კოოპერატივი და მისი შესაძლებლობები პარტიის პარტიის და დასვენების პარტიის


ნიხსლე თავაზობა დასვენების

ორი ნაკრების ერთი მიზანი

ივლისის პირველ რიცხვებში კიევის ოლქში სტარტს აიღებს ჯაბუკა II საკავშირო თავაზობის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები...

უპირველეს ყოვლისა, გავაცანთ თქვენს გეგმებს, ორივე სიტყვა ჯაბუკა პირველი თავაზობის შედეგებზე გვითხარით. ჯაბუკა კერძოდ — ვეთათხრობო დასვენების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება...

ხაძე, მწვრთნელი — ნ. ბარამიძე, ექიმი — ტ. კობრიძე, ავთანდილ თევდორაძე — გოგონათა ნაკრების უფროსი მწვრთნელი...



ქტივში თორმეტი აქაური ჰოკეისტი — ნ. თედორაძე, თ. ივანეშვილი, მ. მამარდაშვილი, მ. დათიაშვილი, ფ. მამარდაშვილი, ი. ბურჯანაძე, ლ. კავთელაშვილი, ხ. მელაძე, ვ. ცხადაძე, ე. კილაძე, მ. მახარაშვილი და ხ. ქერდიკაშვილი...

კორიტი — მოსკოვისა და უზბეკეთის ნაკრები გუნდები. შემდგომ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული განაგრძობს ბრძოლას, მეორე ადგილზე გასული კოლექტივები კი 5-8 ადგილებისთვის იასპარეზებენ...

„ლელო“ ერთხელ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში ფიზკულტურა და სპორტი არაა გარდასახული ისეთი ყურადღებით, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი...

სოფელ სვერის მოსახლეობა ძალიან გაიზარდა, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის კი არაფერია საშუალებები არც გავაჩნია...

გამაჯანსაღებელ საქმიანობაზე, ინვენტარის გაქირავებაზე აღარაფერს ვამბობთ. როცა ყველაფერი ავსოვს — დავფიქროვებ, თავისთავად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე რეალურ გზად პარკში მუშაობის გამოსაცდელად გვესახება კოოპერატივი „მზიურის“ შესაძლებლობებისა და მოსახლეობის გაფართოება...

ერთი სიტყვით, განაღდა სიახლის დაწინაურების შესაძლებლობა და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, მერე განვაზოგადოთ კიდევ კოოპერატივის მომსახურების გაფართოებისათვის ტერიტორია ხელსაყრელია, ახლა მთავარია, რუსთავის შესაბამისმა ორგანიზაციებმა ისეთივე აქტიური წვლილი შეიტანონ ამ საქმეში, როგორც თავის დროზე კოოპერატივის განხრავში ედგნენ მხარში ენთუზიასტებს.

გარდაქმნა - კვალიფიკაციის აკადემიის სისტემაში

როდესმე თუ შეგხვედრიათ ადამიანი, რომ 65 წლის ასაკში 65 წლის შრომითი სტაჟი ჰქონოდა? გაცივრთ? თავად იანგარიშეთ: არმიაში 42 წლის სამხატვრო „საოქაქაქო სამსახურში“ 62 წლის შრომითი საქმიანობის უტოლდება, ამას სსრ კავშირის სპორტსახეობაში შეიღწეოს წლის მუშაობა ემატება და... ერთი სიტყვით, სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავის, გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ ივანეს ძე ნოვიკოვის საბუთებში მართლაც ასეთი ლამის დაუფრებელი ციფრია ჩაწერილი. თუმცა ყველაფრის დატევა არც ამ ციფრს ძალუძს. ვიქტორ ნოვიკოვი პირველი საბჭოთა რეაქტიული თვითმფრინავების გამომცდელთა რიცხვის იყო, შემდეგ კი 30 წელიწადს უჭრა ამ თვითმფრინავების მტურგალს. ამ წინსვლის განმავლობაში მან სხვადასხვა ტიპის 50-მდე თვითმფრინავი გამოისცადა, და თითქმის მთელი ეს ხანი აქტიურად მასწავლებლობდა, მრავალი წლის მანძილზე სათვალვეს ედგა ამინავთა სამხედრო სასწავლებელს. ამჟამად ვიქტორ ნოვიკოვი საკავშირო სპორტსახეობის სამეცნიერო-მეთოდური მუშაობისა და სასწავლებლების მთავარი სამმართველოს მწვრთნელ-ინსპექტორად მუშაობს, კადრების კვალიფიკაციის საკითხებს განაგებს. ამას წინათ იგი ჩვენს ჟურნალში ეწვია, ხელმძღვანელობდა აქ გამოართულ საკავშირო თათბირს თემაზე: „კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გარდაქმნა“.

ქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს შესაბამისი ფაკულტეტი, ჩვენ სწორედ მისი გამოცდების გაცნობა გვიინტერესებს. პირდაპირ გეტყვი, საამაყო მართლაც გაქვთ. ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურის უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკური უნივერსიტეტი დაახლოებით 26 ათას ახალგაზრდა სპეციალისტს უშვებენ. გამოთვლილია, რომ მათგან 12 ათასი სხვა სფეროებში მიდის სამუშაოდ. დავუმატოთ ისეთებიც, ვინც სპორტში ორისამი წლის მუშაობის შემდეგ სხვა რამე საშუალოს ძებნას იწყებს. გამოდის, რომ ვეარგავთ სპეციალისტთა თითქმის ნახევარს! ამის მთავარი მიზეზი პერსპექტივისა და საშუალოადმი ინტერესის უქონლობაა. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები კადრების დაზარებაში უნდა დავეხმარო.

გადაწყვეტილი გაქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებზე შემოვიღოთ მისაღები ტესტირება. კურსებზე შემსვლელი სპეციალისტი წერილობით უნდა თავისი მუშაობის შესახებ ანეკდა საშუალებას იძლევა არა მხოლოდ განისაზღვროს ამა თუ იმ სპეციალისტის ცოდნის დონე, არამედ განზოგადდეს დასკვნები, ცვლილებები იქნეს შეტანილი პროგრამაში. ანეკტირება კურსების დამთავრების შემდეგაც ტარდება. მსმენელთა მუშაობის ადგილზე იგზავნება დახასიათება, რომელშიც აისახება სპეციალისტის მომზადების დონე და რომელიც შეიცავს შემდგომი მუშაობისათვის საჭირო რეკომენდაციებს.

კოსტონაპლის პრიზი — ლ. კალაშვილს. კალიფინგრაფი გამართულ მოზარდ ჩოგბურთელთა ტრადიციულ საკავშირო ტურნირში სსრ კავშირის გმირი, მფრინავ-კოსმონავტ რომანენკოს პრიზზე 1976-1977 წლებში დაბადებული ასპარეზობაში ყველას აჯობა თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მეექვსე-კლასელმა ლევან გელაშვილმა (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ჩახუნიშვილი). ორივე დღის წიქი მანვე გაიმარჯვა კიევის კორტებზე ასევე საკავშირო მასშტაბის პირველობაში. ამჟამად ქართველი ჯაბუკა წარმატებით გამოდის მინსკში მიმდინარე ქვეყნის ჯაბუკა ტურნირში. ლ. გელაშვილს თავისი ასაკის ჩოგბურთელთა ქვეყნის რეიტინგში მესამე საპატიო ადგილი უკავია.

ბავარი რამ ბავარი.

ზოგის ბასარკევი დარჩა

დასასრული

ერთმა კანდიდატმა — ჩელიაბინსკელმა სერგეი გორიხევმა. კონკურენტების მწვავე შეხვედრა თითქმის ზუსტად წყვეტდა, თითქმის იმდენად, რომ გორიხევის სხვადასხვა მხარეებზე წამით აღრე თენაძემ კვლავ ჩაატარა ბრწყინვალე გდება და კვლავ იპოვნა დამარცხება. ეს იღვეთი ყველაზე უდავო საბუთი გახლდათ თენაძის პრეტენზიების საფუძვლიანობისა. აქი ეს აღნიშნა გენერალი კალეტკინმა.

ამავე წონაში რამდენიმე შეხვედრა მოიგო ზურაბ ონიანმა. ბრინჯაოს მედალი ურიგო ჯილდო არ უნდა იყოს ახალგაზრდა ფელაინისთვის.

ტურნირის წინ ზოგიერთმა სპეციალისტმა აზრი გამოთქვა, რომ საჭირო იყო დაესვენებინათ ამირან ტოტიკაშვილი იმ მძიმე ტურნირების, საკავშირო და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ, სადაც მან შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვა. სულ სხვა აზრისა გახლდათ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარული. ოლიმპიადამდე ფაქტობრივად არც ერთი ტურნირი არ ტარდება და, მწვრთნელის აზრით, ამდენი ხნის შესვენებას, შესაძლოა ემოქმედა 19 წლის მოქიდავის სპორტულ ფორმას.

ტოტიკაშვილს ახალგაზრდულმა მაქსიმალიზმმა შეუშალა ხელი, რუმინელ დრაგოზ ბალობსთან წმინდად მოგებული პირველი ბრძოლის შემდეგ იგი საბჭოთა სპორტსმენს იური ტრუფანოვს შეხვდა. ამირანი მინიმალური უპირატესობით (კოკა) უგებდა მეტოქეს, მაგრამ ბოლო წამებზე ეფექტური გამარჯვება მოიპოვინა, მეტოქეს ძლიერად შეუტია და მის კონტრილზე წამოვიდა.

ჩვენმა ახალგაზრდა ფელაინებმა — კახა ქურასბედიანმა, ბადრი ბასიაშვილმა და რობერტ ლომთაძემ კარგად ჩაატარეს კალკუელ შეხვედრები, მაგრამ მაინც საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ.

60 კგ წონით კატეგორიაში ჯერ არ გარკვეულა ჩვენს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრის ვინაობა და მოქიდავებები თავს არ ზოგავდნენ. ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს შეხვდნენ გამოცდილი მეტოქეები, მსოფლიოს ექსპრესიონის, ლენინგრადელი იური სოკოლოვი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მინუსინსკელი სერგეი კოსმინინი. ალბათ ვახტანგ ჯაფარიძისა და გურამ მოლდუბაძისაგან შეეძლოთ ამ ბრძოლაში ჩარეულიყვნენ, მაგრამ ორივემ სოკოლოვთან წააგო შეხვედრები. ჯაფარიძემ კარგა ხნის შესვენების შემდეგ პირველად გამოვიდა ტატამზე და დასაწყისში მღელვარებამ შეუშალა ხელი.

ანზორ კიკნაძე შესანიშნავი ძიულდისტი და, რაც მთავარია, შესანიშნავი ადამიანი იყო. ასეთი პიროვნება ყოველთვის დიდ პატივს იმსახურებს. მან იაპონელებზე მოგვიბოლო თავისი ქვევითა და ბუნებით. ეს ტურნირიც ჩვენი პატივისცემის გამომხატველია.

რა როლს ასრულებს თქვენ იაპონიის ნაკრებში და რას იტყვი ამ ტურნირის შესახებ?

ჩემი თანამდებობა თქვენთვის ძნელი გასაგები იქნება. დელეგაციის დამსახურებით ისეთი ადგილი მიკავია, როგორც თამადას ქართულ სუფრასზე. ჩვენ, იაპონიის ძიულდის წარმომადგენლები, თბილისის ტურნირს საუკეთესოდ ვთვლით საერთაშორისო შეჯიბრებათა შორის, ოფიციალური ჩემპიონატების გარდა. მაგრამ შეჯიბრებას მასუფრებელი ალამაზებს. მას სოვს, თებერვალში სპორტის სასახლე ხალხით იყო გაჭედული. ახლა კი ცოტანი დადინა. ალბათ შეჯიბრების ვადების ბრალია...

ანზორ კიკნაძის პრიზის გათამაშების ფავორიტები ცხადია, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები იყვნენ. სტუმრები უპირატესობას იღებდნენ, რადგან ხუთკაციანი გუნდის დასაკომპლექტებლად უფრო ფართად არჩევანი ჰქონდათ. ჩვენ კი ვერ გამოვიყენეთ ჩვენი საუკეთესო ფელაინები გია თენაძე (71 კგ) და ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ). შეჯიბრება, როგორც იცით, 65, 78, 95, და მძიმე წონის კატეგორიებში ტარდებოდა.

ფავორიტებმა იოლად გაიკაფეს გზა ფინალისკენ.

ანზორ კიკნაძის პრიზი მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც მასპინძლებს სძლია — 2:1. მას გადაეცა იაპონელების მიერ დამზადებული ლამაზი მედლები, რომლებზეც ქართული წარწერაც იყო ამოტვიფრული.

ალსანიშნავია, რომ იაპონელებმა სამასხვორო ოქროს მედლები გადასცეს შოთა ჩოჩიაშვილს, შოთა ხაბარულს, თემურ ხუბულურს, სერგეი მელნიჩენკოს, ვერცხლისა — ოლეგ სტეპანოვს.

ჩვენი ვულუმბატკივრები უმცროსი ფელაინები არ უნდა იყვნენ ტურნირის შედეგებისა: მოპოვებული ოთხი ოქროს მედლის გარდა, ქვეყნის ნაკრებში ადგილი განიმტკიცა გია თენაძემ. „რობა კურტიანისა“ ვუმპურნალებთ და ვნახოთ, იქნებ ოლიმპიადამდე ჩაღვს მწვრთნელში. 95 კგ წონაში ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა. — გვითხრა ბოლოს გენადი კალეტკინმა.

გიორგი ჩოჩიაშვილი.



გიორგი ჩოჩიაშვილი.

ანზორ კიკნაძე შესანიშნავი ძიულდისტი და, რაც მთავარია, შესანიშნავი ადამიანი იყო. ასეთი პიროვნება ყოველთვის დიდ პატივს იმსახურებს. მან იაპონელებზე მოგვიბოლო თავისი ქვევითა და ბუნებით. ეს ტურნირიც ჩვენი პატივისცემის გამომხატველია.

რა როლს ასრულებს თქვენ იაპონიის ნაკრებში და რას იტყვი ამ ტურნირის შესახებ?

ჩემი თანამდებობა თქვენთვის ძნელი გასაგები იქნება. დელეგაციის დამსახურებით ისეთი ადგილი მიკავია, როგორც თამადას ქართულ სუფრასზე. ჩვენ, იაპონიის ძიულდის წარმომადგენლები, თბილისის ტურნირს საუკეთესოდ ვთვლით საერთაშორისო შეჯიბრებათა შორის, ოფიციალური ჩემპიონატების გარდა. მაგრამ შეჯიბრებას მასუფრებელი ალამაზებს. მას სოვს, თებერვალში სპორტის სასახლე ხალხით იყო გაჭედული. ახლა კი ცოტანი დადინა. ალბათ შეჯიბრების ვადების ბრალია...

ანზორ კიკნაძის პრიზის გათამაშების ფავორიტები ცხადია, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები იყვნენ. სტუმრები უპირატესობას იღებდნენ, რადგან ხუთკაციანი გუნდის დასაკომპლექტებლად უფრო ფართად არჩევანი ჰქონდათ. ჩვენ კი ვერ გამოვიყენეთ ჩვენი საუკეთესო ფელაინები გია თენაძე (71 კგ) და ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ). შეჯიბრება, როგორც იცით, 65, 78, 95, და მძიმე წონის კატეგორიებში ტარდებოდა.

ფავორიტებმა იოლად გაიკაფეს გზა ფინალისკენ.

ანზორ კიკნაძის პრიზი მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც მასპინძლებს სძლია — 2:1. მას გადაეცა იაპონელების მიერ დამზადებული ლამაზი მედლები, რომლებზეც ქართული წარწერაც იყო ამოტვიფრული.

ალსანიშნავია, რომ იაპონელებმა სამასხვორო ოქროს მედლები გადასცეს შოთა ჩოჩიაშვილს, შოთა ხაბარულს, თემურ ხუბულურს, სერგეი მელნიჩენკოს, ვერცხლისა — ოლეგ სტეპანოვს.

ჩვენი ვულუმბატკივრები უმცროსი ფელაინები არ უნდა იყვნენ ტურნირის შედეგებისა: მოპოვებული ოთხი ოქროს მედლის გარდა, ქვეყნის ნაკრებში ადგილი განიმტკიცა გია თენაძემ. „რობა კურტიანისა“ ვუმპურნალებთ და ვნახოთ, იქნებ ოლიმპიადამდე ჩაღვს მწვრთნელში. 95 კგ წონაში ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა. — გვითხრა ბოლოს გენადი კალეტკინმა.

გიორგი ჩოჩიაშვილი.



გიორგი ჩოჩიაშვილი.

ნიმე ზალდასტანევილი

ნახევარი წელიწადი დააკლდა 80 წლის იუბილეზე. ვერ მოიწერო... ძველი სპორტსმენებისთვის, უფროსი თაობის გულშემატკივრებისათვის კარგადაა ცნობილი ნინო ზალდასტანევილის სახელი — მძლეოსანი ქალისა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოვიდა დიდ სპორტულ ახმარებზე და მრავალი გამარჯვება მოუტანა საქართველოს სხვადასხვა შეჯიბრებებსა და სპორტკაიადებში.

ომამდელი პერიოდული პრესა დიდ ადგილს უთმობდა ნინო ზალდასტანევილს. ნინოსა და მისი მეგობრების წყალობითა და აქტიური ჩარევით იქცა სპორტი ქალთა ხედიდანაც. თავად ნინო სპორტის მრავალ სახეობას მისდევდა, მძლეოსნობასა და კალათბურთში კი რესპუბლიკის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი წევრი იყო.

შემორჩენილია რამდენიმე ათეული სიგელი და დიპლომი, სადაც თითქმის ერთი და იგივე ტექსტია ჩაწერილი — „პირველი ადგილი“... რბენა 60 თუ 100 მეტრზე, სიგრძეზე თუ ხიმალიზე ადგილიდან ხტომა, ბირთვის კერა თუ ბადრისა და შუბის ტყორცნა და ა. შ. იგი იმარჯვებდა საქართველოს პირველობებში, ამიერკავკასიის სპორტკაიადებში. 1928 წელს, ზუსტად 60 წლის წინათ — 28 ივნისიდან 2 ივლისამდე, თბილისში ჩატარდა მომეჩ რესპუბლიკის ჩემპიონატი.

ნიმე ზალდასტანევილი

ლიკების დიდი ფიზკულტურული დღესასწაული. აქ ნინომ მძლეოსნობის თითქმის ყველა სახეობაში იმარჯვა, ამასთან ამიერკავკასიის რამდენიმე რეკორდიც დაამყარა. ამ წარმატებებისთვის იგი 1928 წლის საკავშირო სპორტკაიადებში მონაწილე ამიერკავკასიის გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს.

შესანიშნავი სპორტსმენის, კეთილი და გულსხმიერი ადამიანის სახელი დატოვა ნინო ზალდასტანევილმა.

ნახევარი წელიწადი დააკლდა 80 წლის იუბილეს დასაჯავებლად.

სპორტის ვახტანგის რამდენიმე სპორტი.

კალათბურთის

აგვისტო

პეკინი. საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა მეორე ნაკრებმა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების ჯგუფურ ტურნირში უკვე ორი გამარჯვება მოიპოვა (მეორე შეხვედრაში დაამარცხა იაპონიის ნაკრები — 83:75). ასეთივე შედეგი აქვს ჩვენს ჯგუფში მოსპარტეზე ჩინეთის გუნდს, რომელმაც ბოლო დღეს რუმინელებს აჯობა 72:52. მეორე ჯგუფში ჩინეთის ახალგაზრდული ნაკრები და პოლონეთი ლიდერობს.

ვენა. აშშ-ს კალათბურთელმა ვაჟებმა, რომლებიც ამთავრებენ ტურნეს ევროპაში, დაამარცხეს ავსტრიის გუნდი 115:46. ამერიკელებში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი შელტონ ჯონსი იყო — 17 ქულა.

პირაპეკინი. საბჭოთა კავშირის თანს კალათბურთში ქალთა შორის დაეუფლა აბოვიანის „ადისი“, რომელმაც სუპერფინალის მეორე მატჩში კვიეტის დინამოელები დაამარცხა — 90:69 (43:33). პირველ მატჩშიც (კვიეში) უპირატესობა „ადისის“ მხარეს იყო — 79:78 (47:41).



პირველი დიდი სიხარული

ამ ნორჩმა სპორტსმენებმა სულ ახლახანს საქართველოს პირველობა მოიპოვეს მინიკალათბურთში. წარმოდგენილი ვაჟებს შორის სიხარული. თბილისის „დინამოს“ ნორჩთა გუნდმა ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ხუთივე თავის სასარგებლოდ დაამთავრა (სამტრედიასთან — 47:37, ცხინვალთან — 75:10, ბათუმთან — 42:15 და „ლოკომოტივთან“ — 33:21), მაგრამ განსაკუთრებით ენაყებოთ მათ „მარტეის“ თანატოლებთან გამარჯვება უაღრესად მძიმე და დამაბულ ბრძოლაში — 42:40. „დინამოს“ გუნდი ჩემპიონი გახდა, „მარტეი“ კი მეორე ადგილზე გავიდა.

ახლა ნორჩ კალათბურთელებს ახალი ბრძოლა ელით. დინამოელებიცა და „მარტეის“ ბიჭუნებიც მონაწილეობას მიიღებენ მინიკალათბურთული საკავშირო ფესტივალში, რომელიც 1-8 აგვისტოს თბილისში ჩატარდება. წარმატება ვუსურვოთ ქართველ ბიჭებს ამ ტურნირშიც.

თამარ ლომიშვილი.

სურათი: მინი-კალათბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული „დინამოს“ კოლექტივი და მათი მწვრთნელები (მარცხნივ) ვივი ბიჭიაშვილი და (მარჯვნივ) ლევან იქორაველი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 25-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 18-19 ივნისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.574.512 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგებამ შეადგინა 10.000 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (55) — 1.949 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1192) — 343 მანეთი.

25-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 9 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით.

შეჯამება „სპორტპროგნოზის“ სპეციალური ტირაჟის შედეგები, რომელიც ტაშკენტის „ფახთაქორის“ თამაშებზე იყო შედგენილი.

ტირაჟში დაშვებულია 178.285 ვარიანტი. 13 და 12 შედეგი ვერაყინ გამოიცნო. 11 შედეგის გამოცნობისთვის (8) მოგებამ შეადგინა 3.342 მანეთი.

სპეცტრაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 9 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით.

დამთავრდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ლატარია „სპორტპროგნოზის“ სპეციალური ტირაჟი. ვთავაზობთ მის შედეგებს:

1-2, 2-2, 3-1, 4-1, 5-2, 6-X, 7-1, 8-1, 9-2, 10-2, 11-2, 12-1; 13-1.

შანიშნავი: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტლოტო“

26 ივნისს გაიმართა „სპორტლოტო“ მორიგი, 26-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 8 45“-დან: 8 (ველობოლო ტრეკზე), 35 (შაბიანი პოკეი), 37 (აკრობატიკა), 38 (ალპინიზმი), 44 (ქადრაკი), 45 (შაში).

„სპორტლოტო 8 36“-დან: 11 (ფრენბურთი) 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორკილი), 24 (ხელბურთი).

მისურა პარანა

ცენტრალური ტელევიზია. 28 ივნისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რატმული ტანვარჯიში — 19.45 (2); ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი — 21.45 (2).

რედაქტორი
თ. ბაჩილიაძე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად.

1. ტანვარჯიშის კათედრა. მხატვრული ტანვარჯიშის მასწავლებელი — 1 სამსტატო ერთეული.
2. სპორტული თამაშების კათედრა. კალათბურთის მასწავლებელი — 1;
3. საწყლოსნო სპორტის კათედრა. წყალბურთის მასწავლებელი — 1;
4. ფეხბურთის, ხელბურთის და ჩოგბურთის კათედრა. ხელბურთის მასწავლებელი — 1.

კონკურსის ვადა ერთი ფეხი დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კაბინეტის განყოფილებაში.

თბილისი, ი. ჯავახიშვილის პრ. 49. ტელეფონი 23-09-02.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი

ფეხბურთი

II დივი, IX ზონა

30 ივნისი

„ლოკომოტივი“-თბი (თბილისი) —

„მინაზი“ (კიროვანადი).

დასაწყისი 18 სთ. 30 წუთზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
ღებულებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩვენი მისამართი:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,
„მერანი“ — 98-97-26, „მარტეი“ — 98-97-27.

ჩვენი მისამართი:
98950
05დამსი
68435

საქართველოს კაცის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოცხებურის წიხთ საგაზეთო კორპუსში: ზოშარულას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05405